

ნელი მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ

2008 წლის 8 იანვარს სტრასბურგის სასამართლომ განიხილა ქალბატონ ნელი მუმლაძის საჩივარი საქართველოს წინააღმდეგ.

აპლიკანტი მიიჩნევდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი. კერძოდ, უზენაეს სასამართლოში არ მოხდა მისი საკასაციო საჩივრის განხილვა, რადგან სასამართლომ მიიჩნია დაუსაბუთებლად.

სტრასბურგის სასამართლომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

რაც შეეხება საქმის დანარჩენ ნაწილს საკუთრებაზე დავასთან დაკავშირებით (აპლიკანტი თავის საჩივარში აღნიშნავს, რომ მას იძულებით გადაყიდინეს სახლი დაბალ ფასად), სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ჯერ ადგილობრივ სასამართლოებში. შესაბამისად, სასამართლო ვერ განიხილავს საქმეს კონვენციის I ოქმის I მუხლის დარღვევის კუთხით.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

31. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად აპლიკანტმა საჩივარი აღძრა იმის თაობაზე, რომ უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა გაეუქმებინა 1998 წლის 2 ივლისის განჩინება და ხელახლა განეხილა მისი სამოქალაქო საქმე.

32. ის ასევე საჩივარში მიუთითებდა, რომ საკონსტიტუციო წარმოების წესების უარყოფა თანაბარი ხმებით დარღვეულ იქნა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი.

33. საბოლოოდ, აპლიკანტმა ეჭვი შეიტანა ქონების ჩამორთმევის პროცესის შედეგში. ის მიუთითებდა, რომ შიდა სამართლის საფუძველზე მას უარი ეთქვა დაედანტურებინა თავისი არგუმენტები, განსაკუთრებით კი, რაც შეეხებოდა საზოგადოებრივი აუქციონის არაკანონიერ მტკიცებას. მან ასევე უკმაყოფილება გამოთქვა, რომ უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა კასაციის წესით ზეპირი მოსმენით განეხილა მისი საქმე.

34. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი კი ითვალისწინებს შემდეგს: „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების.....გამორკვევისას აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.”

A. დასაშვებობა

I. რაც შეეხება საზედამხებველო წარმოებას

35. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის არც მე-6 და არც სხვა მუხლი არ იძლევა ისეთი უფლების გარანტიას, რომლის საფუძველზედაც შეიძლება, კვლავ იქნას წარმოებაში მიღებული და განხილული, საქმე რომელიც დახურულია საბოლოო განჩინებით.

36. ამასთან, აპლიკანტის მოთხოვნა საქმის მასალებზე დაყრდნობით შეუსაბამოა კონვენციის 35-ე მუხლის მესამე პარაგრაფთან მისი მნიშვნელობის ფარგლებში და აპლიკანტს უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35 მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად.

II. რაც შეეხება საკონსტიტუციო წარმოებას

37. სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში აპოსტოლში საქართველოს წინააღმდეგ (§§ 42-47), საქართველოს საკონსტიტუციო წარმოება იქნა მიჩნეული, როგორც ძალადაკარგული საშუალება კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პარაგრაფის მიზნებისათვის. ზემოაღნიშნული გამოწვეულ იქნა იმ ფაქტიდან, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი დროებით გადაედო სახელმწიფო ორგანოების ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, ან სხვა სასამართლოებს მიეღოთ მსგავსი გადაწყვეტილება, რომელნიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ მომხივნის უფლებებზე; ასევე დეკლარაციას, ან სხვა ნორმატიულ აქტს არ შეეძლო გავლენა მოეხდინა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებაზე, რის შემდეგ ზემოხსენებულიდან გამომდინარე კანონმდებლობა უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული.

38. სასამართლომ განმარტავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი არ შეეფერება იმ პროცესებს, რომელიც განსაზღვრავს კანონის სადაო საკითხებს და რომელსაც არ შეუძლია გადაამოწმოს ქვედა ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება, რომელიც პირდაპირ ეხება ადამიანის უფლებებს.

39. მიმდინარე საქმეში, აპლიკანტის საკონსტიტუციო საჩივრის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408 მუხლის მე-3 ნაწილის აცილება, რომელის საფუძველზეც საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილვის შესახებ. აპლიკანტის საქმეში კონსტიტუციური პრობლემა იყო შეუსაბამო უკვე დასრულებული, ქონება ჩამორთმეული პროცესებისათვის. თუნდაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიეღო აპლიკანტის საჩივარი წარმოებაში, ის აუცილებლად მიიღებდა აბსტრაქტული დეკლარაციის სახეს, რომელიც არაკონსტიტუციური იქნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად და რომელიც ეფექტური არ იქნებოდა უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებისათვის.

40. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო საქმის წარმოება იყო სრულიად განცალკევებული და არასაბოლოო აპლიკანტის ინტერესებისათვის, რაც მოგვიანებით განისაზღვრა მისი ქონების ჩამორთმევის საქმის წარმოების

კუთხით. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის გამოყენება შეუსაბამოა.

41. მაშასადამე, აპლიკანტის საჩივარი საკონსტიტუციო წარმოების შესახებ, საქმის მასალებზე დაყრდნობით არის შეუთავსებელი (შეუსაბამო) კონვენციის 35-ე მუხლის მესამე პარაგრაფთან მისი მნიშვნელობის ფარგლებში და აპლიკანტს უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35 მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად.

III. რაც შეეხება ქონების ჩამორთმევის შესახებ საქმის წარმოებას

42. დასაწყისში, სასამართლომ განმარტა, რომ მხარეებს არ გაუპროტესტებიათ მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისობა ქონების ჩამორთმევის შესახებ საქმის წარმოებასთან.

(a) საჩივარი განხილვის შედეგების თაობაზე და ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებები

43. სასამართლო არ თვლის საჭიროდ, რომ განიხილოს (შეამოწმოს, გამოარკვიოს) ამ შემთხვევაში მთავრობის პროტესტი, რადგანაც განცხადების ეს ნაწილი ყველა შემთხვევაში არის დაუშვებელი.

44. აღსანიშნავია, რომ აპლიკანტმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ქონების ჩამორთმევის შედეგი და ჩივის, იმის თაობაზე, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა არ მისცეს ჯეროვანი შეფასება მის არგუმენტებს და მოითხოვს, რომ სასამართლომ იმოქმედოს, როგორც სააპელაციო სასამართლო „**მეოთხე ინსტანციისა**“. მიუხედავად ამისა, სასამართლომ შეახსენა, რომ ადგილობრივი სასამართლოები არიან საუკეთესო შემფასებლები საქმეში საკითხთა მტკიცებულების განხილვისას. სასამართლოს მიაჩნია, რომ აპლიკანტის საჩივრის ნაწილი კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად არის აშკარად დაუსაბუთებელი და უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად.

(b) საჩივარი საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე ჩანიშვნის შესახებ

i. მხარეთა მტკიცებულებები

45. მთავრობამ მიუთითა, რომ 2002 წლის 9 დეკემბერს უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეგზავნა აპლიკანტს 2003 წლის 9 იანვარს. როგორც დადასტურდა, მათ დაურთეს მოხსენების ასლი, რომელიც ადასტურებს გადაწყვეტილების გაგზავნას აპლიკანტის მისამართზე ზამოხსენებული თარიღით რეგისტრირებული ფოსტის მიერ. რადგან აპლიკანტი მითითებულ მისამართზე ცხოვრობდა 2003 წლის 16 აგვისტოს, გამოდის, რომ შვიდ თვეზე მეტია მას შემდეგ რაც მას გადაეგზავნა საბოლოო გადაწყვეტილება. საჩივარი საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ არ აკმაყოფილებს ექვს თვიანი ვადის მოთხოვნას კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად. გარდა ამისა, მთავრობამ განაცხადა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის

თანახმად ადგილობრივ სასამართლოებს არ მოეთხოვებათ მოიპოვონ უწყების ჩაბარების მონაცემები. მათ დაასაბუთეს, რომ გადაწყვეტილება თუ არ მისვლია აპლიკანტს, ამის შესახებ საფოსტო სერვისი შეატყობინებდა უზენაეს სასამართლოს. მთავრობამ ასევე დაურთო ზესტაფონის საფოსტო ოფისის უფროსის წერილი, რომელიც დათარიღებულია 2007 წლის 18 აპრილით, სადაც იგი ადასტურებს, რომ სადაო გადაწყვეტილება აპლიკანტს ჩაბარდა მითითებულ მისამართზე 2003 წლის 13 იანვარს. ეს მტკიცებულება არ იყო გამყარებული რაიმე არგუმენტით.

46. აპლიკანტმა უპასუხა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლო ადასტურებს 2002 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების გაგზვნას 2003 წლის 9 იანვარს, აპლიკანტს აღნიშნული გადაწყვეტილება არ ჩაბარებია. ამასთან დაკავშირებით აპლიკანტმა აღნიშნა, რომ გარდა ჩაბარების დასტურისა, მთავრობამ არ წარმოადგინა გადაწყვეტილების ჩაბარების რაიმე მტკიცებულება. შემდგომში აპლიკანტმა აღნიშნა, რომ მას რომ მიეღო 2003 წლის 9 იანვარს სადაო გადაწყვეტილება, ის აღარ მოსთხოვდა უზენაეს სასამართლოს 2003 წლის 20 იანვარს საკასაციო წესით განეხილა მისი საქმე. მან მრავალჯერ გაიმეორა, რომ 2002 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება პირველად იქნა გადაცემული მასზედ 2003 წლის 24 თებერვალს, როგორც დანართი, რომელიც თან ახლდა უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 18 თებერვლის წერილს.

ii სასამართლოს მტკიცებულება

47. სასამართლო მიიჩნევს, რომ არ იქნა ნაჩვენები, ჩაბარდა თუ არა აპლიკანტს 2002 წლის 9 დეკემბრის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში მოცემული თარიღის მიხედვით ექვს თვიანი ვადის დაცვით, როგორც ეს კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პარაგრაფით არის გათვალისწინებული. როგორც აპლიკანტი მიუთითებს, მთავრობამ არ წარმოადგინა ჩაბარების დამამტკიცებელი საბუთი. ზესტაფონის საფოსტო ოფისის უფროსის განცხადება იქნა გაკეთებული ოთხი წლის შემდეგ, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე.

48. სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ საპროცესო კანონი არ ავალდებულებს ადგილობრივ სასამართლოს მოიპოვოს ჩაბარების ჩანაწერი საფოსტო ოფისიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე და 397-ე მუხლების თანახმად ყველა ინსტანციის სასამართლო მოეთხოვება ზემოხსენებული. სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს რატომ არ შეიძლებოდა იგივე წესი განხორციელებულიყო საბოლოო, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარებისას. მას შემდეგ, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ ყველა ინსტანციის სასამართლო წესები იდენტურია საკასაციო სასამართლოს წესებისა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIX თავის შესაბამისად. გარდა ამისა, იგივე საკასაციო საქმეთა წარმოებაში, უზენაესმა სასამართლომ მოიპოვა საფოსტო სამსახურიდან ჩაბარების დამამტკიცებელი საბუთი ადრე განხილულ სასამართლო საქმეზე, რის საფუძველზე საქმე იქნა მიღებული წარმოებაში. საბოლოოდ სასამართლო დარწმუნებულია, რომ თუ კი აპლიკანტი მიიღებდა უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებას 2003 წლის 13 იანვარს,

აპლიკანტი ალბათ მოითხოვდა არ შეეწყვიტათ საქმის წარმოება 2003 წლის 20 იანვარს.

49. ზემოსხენებული განხილვიდან გამომდინარე, სასამართლო იზიარებს აპლიკანტის საჩივარს, რომ მას მხოლოდ მიღებული ჰქონდა 2002 წლის 9 დეკემბრის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც თან დართული დოკუმენტი 2003 წლის 18 თებერვლის უზენაესი სასამართლოს წერილთან ერთად. რადგანაც განცხადება შეტანილ იქნა სასამართლოში 2003 წლის 16 აგვისტოს, მთავრობის პროტესტი ექვს თვეში ვალდებულების შეუსრულების შესახებ ბათილია.

50. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის ჩანიშვნის შესახებ არ არის დაუშვებელი ნებისმიერ სხვა შემთხვევაში. ის უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

B. საქმის არსებითი გარემოებები

1. მხარეთა მოსაზრებები

51. მთავრობის მხარემ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უზენაესი სასამართლოს - როგორც საკასაციო ინსტანცია - როლს წარმოადგენდა სააპელაციო ინსტანციის გადაწყვეტილებების კანონიერების გადასინჯვა. შესაბამისად, იქ სადაც საკასაციო სასამართლო ვერ იკვლევდა საქმის გარემოებებს და განსახილველად იღებდა მხოლოდ უკვე სამართლებრივად დადგენილ ფაქტებს, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი არაა საქმის განხილვა მოხდეს ყოველთვის მხარეთა დასწრებით. ეს წესი შეიძლება დასაბუთდეს ისეთი კანონიერი მოსაზრებებით, როგორცაა საქმის გონივრულ ვადაში განხილვა და ეკონომიური მოთხოვნები.

52. რაც შეეხება წარმოდგენილ საქმეს, მთავრობის მხარემ განმარტა, რომ უზენაეს სასამართლოს შეუძლია განიხილოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება. მას არ შეუძლია ხელახლა იმსჯელოს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, როგორც ეს მოთხოვნილია აპლიკანტის საკასაციო განაცხადში. საკასაციო სასამართლოს არ განუხილავს ფაქტები პროცესუალურ დარღვევებთან დაკავშირებით, რადგან აპლიკანტის მიერ არ წამოჭრილა ამის თაობაზე რაიმე პრეტენზია თავის საკასაციო საჩივარში. უფრო მეტიც, აპლიკანტს წინასწარ ეცნობა იმის შესახებ, რომ საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

53. მთავრობის მხარემ აღნიშნა, რომ შიდა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოპასუხე მხარის არგუმენტების გადაცემას მოსარჩელეზე უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის საბოლოო გადაწყვეტილებამდე (სსსკ-ის მე-400 მუხლი). ნებისმიერ შემთხვევაში, აპლიკანტს რომ მოესურვებინა გასცნობოდა მოპასუხე მხარის არგუმენტებს, მას შეეძლო ენახა საქმის მასალები (ამავე კოდექსის 83-ე მუხლის I ნაწილი).

54. ზემოხსენებული არგუმენტების გათვალისწინებით მთავრობის მხარეს მიაჩნია, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა არ წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

55. აპლიკანტმა განაცხადა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი ცხადად და პროგნოზირებულად (foreseeability) ვერ განმარტავს, თუ რა გარემოებების შემთხვევაში შეუძლია საკასაციო ინსტანციას საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. აპლიკანტი ასევე ჩივის, რომ ეს პირობა არ ავალდებულებს საკასაციო ინსტანციას მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, ან გაითვალისწინოს აპელაცია. აპლიკანტი ჩივის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსად არაა აღნიშნული, რომ საკასაციო სასამართლო ვალდებულია გააკეთოს რაიმე შენიშვნა თავის გადაწყვეტილებაზე ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის თაობაზე ვიდრე მიიღებდეს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეზე. ბოლოს აპლიკანტმა განაცხადა, რომ საკასაციო ინსტანციაში საქმის ზეპირი მოსმენა აუცილებელია, რათა მოხდეს საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების ჯეროვნად განხილვა, რაც ვერ მოხერხდა ქვედა ინსტანციებში.

2. სასამართლოს მტკიცებულებები

56. სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტის თანახმად უზენაესი სასამართლო ვალდებული იყო აეხსნა ის გარემოებები, თუ რატომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმე განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, იგი თავისი საჩივრის კონტექსტიდან აცალკევებს საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის სადაო არარსებობას, და ამის ნაცვლად ახდენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული პროცედურების სავარაუდო ნაკლოვანებების დენონსირებას, როგორც ასეთს. მიუხედავად ამისა, უნდა გავიხსენოთ, რომ კონვენციის სისტემა არ ითვალისწინებს ისეთ მექანიზმებს, რომლითაც სამართლებრივი ნორმები განიხილება არა ზოგადად, არამედ მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებებთან მიმართებაში არსებული კანონის გამოყენებისას. მიუხედავად ამისა, სასამართლო ვალდებულია განიხილოს რამდენად არის შესაბამისობაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილთან აპლიკანტის საქმიდან გამომდინარე.

57. უპირველესად სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოსათვის მინიჭებული უფლება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის თაობაზე, თავისთავად არ გულისხმობს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

58. შესაბამისად, რამდენადაც საქმის მოსმენა მიმდინარეობდა ორივე ქვედა ინსტანციის სასამართლოში, სასამართლო ეთანხმება სახელმწიფოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საკასაციო ინსტანციაში ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის უფლება უნდა გადაიწონოს გულმოდგინებისა და ეკონომიურობის მოთხოვნებით.

59. მიუხედავად ამისა, პრობლემა შეიძლება წამოიჭრას მაშინ, თუ აპლიკანტი წარმოაჩენს, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შედეგად მისი უფლებები და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი დაირღვა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ საქმეზე აპლიკანტმა ვერ წარმოადგინა რაიმე არგუმენტი რაც ეჭვს გამოიწვევდა სასამართლოს მიუკერძოებლობაში.

60. რაც შეეხება აპლიკანტის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ზეპირი გამოსვლები აუცილებელი იყო ფაქტების ახსნასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ სამართლებრივი არგუმენტები, ისევე როგორც ფაქტობრივი გარემოებები უფრო ეფექტურად წარმოჩინდებოდა წერილობითი ფორმით, ვიდრე ზეპირად. უფრო მეტიც, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო ფუნქციაა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება.

61. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოპასუხის შესაგებელი სარჩელი აპლიკანტის საჩივარზე, არ გადაეგზავნა მას სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ეს არ არღვევს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები, არ ავალდებულებს მხარეებს წარმოადგინონ რაიმე დამატებითი შენიშვნები, ან კომენტარები ერთმანეთის არგუმენტებზე. შესაბამისად, აპლიკანტს თუნდაც რომ ჰქონოდა უპირატესი ინფორმაცია მოპასუხის სარჩელზე, მას არ შეეძლო წარედგინა უზენაესი სასამართლოსათვის რაიმე დამატებითი არგუმენტი. მეტად მნიშვნელოვანია, რომ უზენაესი სასამართლო მხედველობაში ვერ მიიღებდა აპლიკანტის არგუმენტებს, როდესაც იხილავდა აპლიკანტის საკასაციო საჩივარს. შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ აპლიკანტი არათანაბარ პირობებში იქნა ჩაყენებული.

62. და ბოლოს, ვიდრე აპლიკანტისთვის ცნობილი არ გახდებოდა, რომ მისი საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც მას ეცნობა საქმის განხილვამდე, სასამართლო იზიარებს მთავრობის მხარის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ აპლიკანტს, ან მისი სახელით მოქმედ ადვოკატს შეეძლო ესარგებლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის I ნაწილით. ამგვარად, აპლიკანტს შეეძლო გასცნობოდა საქმეზე არსებულ ყველა მასალას საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

63. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისას ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას.